პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# კომუნისტი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფ. ხი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

141 (1136) | კვირა, 1 აგვისტო 1926 წ. | 141 (1136)

საქართვ. წიგნის პალატა

## რა უნდა იცოდეს შვებულებაში მიმავალ ცვალებადელმა

საზაფხულო სამოსწავლო შეკრება დასრულდა. დღეიდან შეკრებაზე მყოფი ცვალებადელები დაბრუნდებიან სახლში და შეუდგებიან მშვიდობიან შრომას.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უკვე საფუძვლიანად მოემზადენ სამხედრო საქმეში და ამიერიდან არ საჭიროებენ სამხედრო ცოდნის გაფართოვებას. ეს შემცდარი აზრია.

დამთავრდა მხოლოდ საზაფხულო სამოსწავლო შეკრება და არა სამხედრო მომზადება.

პირიქით შეკრების დამთავრების შემდეგ ყოველი ცვალებადელი მოვალე არის მთელი თავისი შეგნებით და ენერგიით ცდილობდეს გააფართოვოს სამხედრო ცოდნა და განამტკიცოს ის რაც სამოსწავლო შეკრებაზე შეიძინა.

არ უნდა დავივიწყოთ რომ ტერსისტემის მთავარ ამოცანას წარმოადგენს თავის რიგებში მშრომელ ახალგაზრდობისაგან აღზარდოს ღირსეული წითელი მებრძოლნი, რომლებიც თავისი საბრძოლო უნარით არ ჩამოუვარდებიან კადრის ნაწილის წითელ არმიელებს. ამ ამოცანის შესრულება მეტად რთულდება იმ გარემოებით, რომ ცვალებადელი—წითელ არმიელი მეტ წილად სახლში იმყოფება, ვიდრე ნაწილში.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ტერსისტემა მაინც მიაღწევს თავის მიზანს, თუ ყოველი ცვალებადელი მთელი თავისი შეგნებით, სერიოზულობით, პასუხისმგებლობით პირნათლად შეასრულებს ყველა თავის ვალდებულებებს. ორთვიან ან ერთ თვიან შეკრებაზე მიღებული სამხედრო ცოდნა სრულიად არ არის საკმარისი. ეს უდავო ჭეშმარიტება უნდა იყოს ყველასათვის.

მაშ რა არის კიდევ საჭირო?

რომ სახლშიაც, მშვიდობიან შრომასთან ყოფნის დროს ცვალებადელი განაგრძობდეს სამხედრო სწავლას, იმეორებდეს განვლილს, იძენდეს ახალს. ამ მიზნით ცვალებადელი პირველყოვლისა მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს თავის ნაწილს, თავის ხელმძღვანელებს. მან რჩევა-დარიგება უნდა სთხოვოს თავის მეთაურს თუ როგორ და რანაირად უნდა აწარმოოს სამხედრო სწავლება შეკრების შემდეგ.

ტერიტორიალური ნაწილების მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა მუდამ მზად არის დახმარება გაუწიოს ამ მხრით ცვალებად—წითელ არმიელებს.

ცვალებადელმა ერთ წუთს არ უნდა დაივიწყოს, რომ შეკრების შემდეგაც ის რჩება სამხედრო ვალდებული და ამიტომაც მოვალეა იზრუნოს თავის სამხედრო ცოდნის გაფართოვებაზე.

ცვალებადელს ევალება მეორე დიდი ამოცანაც. მან უნდა იზრუნოს არა მარტო თავის თავზე სამხედრო მომზადების მხრივ, არამედ აგრეთვე მთელი მოსახლეობის გასამხედროებაზედაც.

ამისთვის მან მტკიცე ამოცანად უნდა დაისახოს თავის სოფელში თუ ქარხანაში სამხედრო კუთხის მოწყობა, მსროლელთა წრის დაარსება, კედლის გაზეთში სამხედრო განყოფილების შემოღება და სხვა.

თვით მომზადება სამხედრო საქმეში და მოსახლეობის გასამხედროება ტერნაწილების მეთაურთა და პოლიტმომუშავეების ხელმძღვანელობის ქვეშ—აი ცვალებადელის შეკრებათა შუა მუშაობის მთელი შინაარსი.

და რაც უფრო ნაყოფიერი იქნება ეს მუშაობა მით უფრო განმტკიცდება ტერსისტემა, მით უფრო ამაღლდება საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარი.

**სამოსწავლო შეკრება დასრულდა!**

**ცვალებადელო, გაახალისებული ენერგიით ემზადე საერთო ტერიტორიალური შეკრებისათვის!**

## განცხადება

მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის შტაბი წინადადებას აძლევს ყველა იმ ცვალებად შემადგენლობის პირთ, რომლებიც ჩარიცხულნი არიან დივიზიის სამმართველოს ცვალებადთა შტატში—გამოცხადდენ ცვალებადელების საერთო ტერშეკრებაზე ქ. ტფილისში ხსენებული დივიზიის შტაბში (ლუნაჩარსკის ქ. № 2 ყოფ. ევანგულოვის ქუჩა) დილის სრულ 8 საათზე შემდეგ რიცხვებში:

1. მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა— ა. წ. 10 აგვისტოს.
2. ადმინისტრ. შემადგენლობა . . . . 28 აგვისტოს.
3. უმცროს მეთაურთა და წ. არმ. შემადგენლობა 1 სექტემბ.

შენიშვნა: კ. პ. (ბ) წევრები 28 აგვისტოს.

4. მოსამსახურეთა შემადგენლობა . . . . 28 აგვისტოს.

მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა გამოწვეული იქნებიან 51 დღით, ე. ი. 4 ოქტომბრამდე, ადმინისტრატიული და მოსამსახურეთა შემადგენლობა 37 დღით, ე. ი. 4 ოქტომბრამდე და უმცროს მეთაურთა და წ. არმიელთა შემადგენლობა 30 დღით, ე. ი. 1-ლ ოქტომბრამდე.

ამრიდებლები მიეცემა პასუხისგებაში.

შტაბის დრ. უფროსი ი. ა ს ა თ ი ა ნ ი.

დრ. სამხკომი ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

## პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე.

### საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის პლენუმის, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტების და ცენტრალურ საკონტროლო კომისიების გაფართოებულ კრების რეზოლიუცია.

საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საკონტროლო კომისიისა, ა.-კ. რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების და ცენტრალურ საკონტროლო კომისიების პლენუმების გაფართოებული კრება—დედა ქალაქთა კომიტეტების, რაიკომების, სამაზრო აღმასკომთა თავმჯდომარეების მონაწილეობით თბილისის საერთო საქალაქო აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ,—სავსებით და მთლიანად იწონებს ამ პლენუმის გადაწყვეტილებებს და უერთდება მათ.

კრება, რომელიც გამოხატავს ამიერკავკასიის ყველა კომუნისტურ ორგანიზაციების აზრს, ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ პარტიამ ცეკას მტკიცე ხელმძღვანელობის ქვეშ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგებში, მუშათა და გლეხთა მასების მატერიალური კეთილდღეობის აწევის საქმეში და საბჭოთა ქვეყანა მიუხედავად დროებით სამეურნეო დაბრკოლებებისა, შეუჩერებლივ მიდის წინ. ჩვენი პარტიის ამ წარმატებათა ძირითად წინასწარ პირობას წარმოადგენდა რკინის დისციპლინა და ჩვენი რიგების ფოლადისებური მთლიანობა, რაც ამ ბოლო დროს დაარღვია ეგრედ წოდებულ „ახალ ოპოზიციის“ გამოსვლამ.

კრებამ ღრმესი აღშფოთების გრძნობით გაიგო იმ „ახალი ოპოზიციის“ დეზორგანიზატორულ ნაბიჯების შესახებ, რომელსაც სათავეში უდგა პოლიტბიუროს წევრი ამხ. ზინოვიევი და რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტბიუროს მეორე წევრი, პარტიის მიერ არა ერთხელ გაკიცხული ანტიბოლშევიკურ გადახრისათვის, ამხ. ტროცკი და რომელსაც ამჟამად ემხრობიან პარტიის მიერ გაკიცხულ სხვა გადახრების წარმომადგენლები. ეს „ახალი ოპოზიცია“ ანუ ახალი ოპოზიციური ბლოკი არის გაგრძელება ძველი ფრაქციული სენის, რომლის რეციდივები თავს იჩენენ წლიდან წლამდე. პარტია ჯერ კიდევ ამხ. ლენინის სიცოცხლეში და მისი უშუალო ხელმძღვანელობით სასტიკათ ებრძოდა ფრაქციულ ავადმყოფობას, სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ყოველგვარ ანტიპარტიულ გადახრებს და ჯგუფებს, იცავდა რა პარტიის მთლიანობას. დაწყებული მეათე ყრილობიდან თვით მეთოთხმეტე ყრილობამდე პარტია სწავლობდა და გამოიბრძმიდა „მუშათა ოპოზიციის“ ანარქო-სინდიკალისტურ გადახრის და „დემოკრატიულ ცენტრალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამხ. ტროცკისთან გამართულ დისკუსიების დროს. მაგრამ ჩვენი პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე თავი იჩინა „ახალმა ოპოზიციამ“, რომლის ხელმძღვანელნი, ამხ. ზინოვიევი და კამენევი, რომელთაც, როგორადაც ეს არ უნდა იყოს განსაცვიფრებელი, უმთავრეს და ძირითად საკითხებში უარყვეს თავისი წინანდელი სწორი შეხედულება ტროცკიზმზე, დაეშვენ ამხ. ტროცკის პოზიციამდე რომლის წინააღმდეგ ისინი პარტიასთან ერთად თვითონ იბრძოდენ სწორად და გადაჭრით.

ზინოვიევ-ტროცკი-კამენევის ეხლანდელმა ფრაქციულმა ერთად გამოსვლამ ორგანიზაციულად განამტკიცა ეს „პრინციპიალური“ ანუ, უფრო სწორათ, უპრინციპო ბლოკი. „ახალი ოპოზიციის“ ანტილენინური გადახრანი საშინაო და საგარეო ხასიათის საკითხებში უმთავრესად ასეთია: მათ არ აქვთ რწმენა სოციალისტურ აღმშენებლობისა საერთოდ და კერძოდ ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალებით სოციალისტურ საფუძველზე ინდუსტრიალიზაციისა, მათ ემჩნევათ ტენდენცია საშუალო შეძლების გლეხობისა და პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირის გვერდის ავლისა; ისინი მფარველობას უწევენ უკიდურეს მემარჯვენეებს, რომლებიც პარტიის შიგნით განხრით მენშევიზმამდე დაექანენ (მედვედიევის ჯგუფი). საერთაშორისო მასშტაბში ისინი ხან უკიდურეს მემარჯვენეებს და ხან უკიდურეს მემარცხენეებს უახლოვდებიან; ინგლისის ამბების შესახებ მათ მიღებული აქვთ ანტილენინური ტაქტიკა,—რომელიც გამოიხატება იმაში, რომ „ოპოზიცია“ მოითხოვდა აფეთქებას ან ინგლის-რუსეთის კომიტეტთან კავშირის დემონსტრატიულად გაწყვეტას, რაიც ულტრა-მემარცხენე ფრაზებითა და მემარჯვენე პოზით ჰფარავს აშკარა ოპორტუნისტულ შინაარსს და რაიც ობიექტიურად ნიშნავს ჩვენი პოზიციების დასუსტებას და მუშათა კლასის მტერთა პოზიციის გაძლიერებას. ეს სერიოზული განხეთქილება „ახალ ოპოზიციასა“ ცეკას უმრავლესობასთან შესაძლოა და ასატანია პარტიაში, რამდენადაც ეს შეხედულებანი დაცულ იქნებიან პარტიის წესდების ფარგლებში—ჩვენი პარტიის შიგნი. მაგრამ „ახალი ოპოზიცია“ არ დაკმაყოფილდა წესდებით მინიჭებულ უფლებებით და თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ მიმართა არალეგალური ფრაქციული ორგანიზაციის შექმნას.

არალეგალური ფრაქციული მუშაობა გამოიხატა არალეგალურ, კონსპირატიულ კრების მოწყობაში, საიდუმლო პარტიულ დოკუმენტების გადაბეჭვდასა და გავრცელებაში, არალეგალურ ფრაქციულ ჯგუფების შექმნის მიზნით აგენტების დაგზავნაში. პარტიის მთლიანობის დარღვევის ეს უმაგალითო ფაქტები მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ამ ფრაქციული ბრძოლის ძაფები მიდიოდა პოლიტბიუროს წევრ ამხ. ზინოვიევთან, და ამ მუშაობას უშუალოდ მეთაურობდა პარტიის ცეკას წევრობის კანდიდატი ამხ. ლაშევიჩი. ვიწრო ფრაქციული მიზნებისთვის, აყენებდა რა ფრაქციულ დისციპლინას პარტიულზე მაღლა, „ახალი ოპოზიცია“ არ შეჩერდა იმის წინაშეც, რომ აწარმოვა ჩვენი პარტიის მთლიანობის შერყევის ცდა. აი, რატომ სთვლის კრება სრულიად სამართლიანად და მიზანშეწონილად და არ შეუძლია არ დაეთანხმოს ფრაქციული ავადმყოფობის დაძლევისა და პარტიის მთლიანობის ინტერესებისათვის იმ დადგენილებას, რომლის მიხედვით ამხ. ზინოვიევი მოხსნილია პოლიტბიუროს წევრობიდან და ამხ. ლაშევიჩი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას კანდიდატობიდან.

კრება აუცილებლად სთვლის ხაზი გაუსვას, რომ ყოველგვარი საქმიანი წინადადებანი, რომლებიც მიმართული იქნება პარტორგანიზაციების მუშაობაში შენიშნულ ნაკლთა გამოსწორებისაკენ, პარტიის წევრების აქტიურობისა და თვითმოქმედების ასაწევად, შინა-პარტიული დემოკრატიის განსანვითარებლად, უნდა იქნას განხილული ყურადღებით და მტკიცედ გატარებული პარტიის ცხოვრებაში, და კერძოდ, ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებში. მაგრამ ამასთან ერთად პარტიის წევრთა ფართო მასების აღზრდა ლენინის პრინციპების მიხედვით და სწორად გაგებული შინა-პარტიული დემოკრატია ნიშნავს და გულისხმობს დაუნდობელ ბრძოლას ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ განხრებისა და განწყობილებათა წინააღმდეგ, რომლებიც ზოგჯერ მემარცხენე ფრაზების სახით იჭრებიან პარტიაში.

კრება, ამიერ-კავკასიის ყველა კომუნისტი ორგანიზაციების სახელით აცხადებს, რომ იგი მზადაა დადგეს ლენინის პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და იბრძოლოს ლენინიზმის ყოველგვარი გაყალბების წინააღმდეგ და აღუთქვამს ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ამ ბრძოლაში.

**გაუმარჯოს მთლიან, მონოლიტურ, ყოველგვარ განხრისა და ჯგუფებისაგან განთავისუფლებულ ლენინის პარტიას!**

**გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) კოლექტიურ შტაბს ცეკას, რომელიც უზრუნველყოფილია ლენინის პარტიის სრული დახმარებით!**

## ინგლისის მთავრობამ აკრძალა დახმარება მთა-მადნის მუშებისადმი

### მაღაროს მუშები მტკიცედ განაგრძობენ ბრძოლას

### მეპატრონეები იმუქრებიან.

საგანგებო წესები გაგრძელებულ იქნა.

მაღაროს მუშები მტკიცედ სდგანან თავიანთ პოზიციებზე. ზოგიერთი ნახშირის კომპანიები იმუქრებიან, რომ მუშაობის განახლების შემდეგ დახურულ იქნება რამოდენიმე მაღარო. ამ მაღაროების დახურვა გამოიწვევს რამოდენიმე ათასი მუშის დათხოვნას.

ბურჟუაზია მეტად შეშინებულია გაფიცვებით, რის გამო საგანგებო წესები გაგრძელებულ იქნა ერთი თვით.

## საბჭოთა კავშირში

### ლენინის ძეგლი დარიალის ხეობაში

ლენინგრადის ქარხანა „წითელი ვიბორგელი“ ამთავრებს ლენინის დიდ ძეგლს, რომელიც დადგმული იქნება დარიალის ხეობაში. ძეგლის სიმაღლე უდრის 12 ნახ. არშინს. ამ დღეებში ძეგლი გაიგზავნება დარიალის ხეობაში.

### რამდენი კომუნისტია სსრკ-ში

1926 წლის 1-ლ მაისისთვის საბჭოთა კავშირში ითვლებოდა 31.009 კომუჯრედი და 2.365 საკანდიდატო ჯგუფი. ამ რიცხვში არ შედის სამხედრო და საზღვარგარედ არსებულ საბჭოთა დაწესებულებების კომუჯრედები.

კომუნისტების საერთო რიცხვი აღნიშნულ დროისთვის უდრიდა 1 მილიონ 59 ათასორას ორმოცდათვრამეტ კაცს. აქედან 137.547 ქალია და 423.295 კანდიდატი.

# წითელ არმიელთა უპარტიო კონფერენცია.

## ტფ. გარნიზონში მდგომ 2-ე ქართ. მსრ. დივ. ნაწილებისა.

### მეოთხე დღე.

ივნისის 27-ს სხდომაზე კონფერენციამ მიიღო

**რეზოლიუცია 1903 წელში დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელების მომზადების შესახებ.**

რეზოლიუციაში ნათქვამია: 1) კონფერენცია სცნობს, რომ მიუხედავათ დროის სიმცირისა, ტერიტორიალურმა ნაწილებმა შესძლეს ცვალებად შემადგენლობის სათანადო მომზადება სამხედრო დარგში, 2) დისციპლინის დარგში ნაწილებმა შესძლეს იმ არა ნორმალურ მოვლენების შემცირება, რომლებსაც ქონდა ადგილი პირველ ხანებში, 3) დამთავრებულია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, 4) წითელ არმიელებიდან მომზადებულია ისეთი მოშავენი, რომლებიც თავისუფლად შესძლებენ მიღებულ ცოდნის გამოყენებას საზოგადოებრივ მუშაობაში, 5) მიუხედავათ იმისა, რომ ნაწილებში მრავლად იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი, ნაწილებმა შესძლეს წითელ არმიელთა 100 პროცენტის ჩაბმა კულტურულ—პოლიტიკურ მუშაობაში.

**მზადება ტერშეკრებისათვის**

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ასათიანის მოხსენება საერთო ტერიტორიალურ შეკრებისათვის მზადებაზე. მომხსენებელმა განმარტა შეკრების წესი და აღნიშნა, თუ რა მუშაობა უნდა აწარმოოს სახლში დაბრუნებულმა ცვალებადელებმა, რომ ხელი შეუწყონ შეკრების წარმატებით ჩატარებას.

### უკანასკნელი სხდომა

**მუშაობა შეკრებათა შორის.**

კონფერენციის მორიგ სხდომაზე, რომელიც შესდგა ივლისის 28, ამხ. ბლუაშვილმა გააკეთა მოხსენება შეკრებათა შორის მუშაობაზე და მის ამოცანებზე. მომხსენებელმა სთქა, რომ სახლში დაბრუნებული ცვალებადელი უნდა იყვეს საზოგადოებრივი მუშაკი, არ უნდა გაურბოდეს არავითარ მუშაობას და ხელს უწყობდეს ყოველივე სასარგებლო საქმეს. სახლში დაბრუნებულმა ცვალებადელებმა თავისი ცოდნა უნდა მოახმაროს სოფელს.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო სოფლის გასამხედროების საქმეს, სამხედრო კუთხეების ორგანიზაციას, მათ მუშაობის მეთოდებს და იმ მუშაობას, რომელიც უნდა აწარმოონ ცვალებადელებმა სამხედრო კუთხეებში.

მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა შემდეგი

**რეზოლიუცია:**

„კონფერენცია საჭიროდ სცნობს მიეცეს ნაწილების მიერ შვებულებაში მიმავალ ცვალებად წითელ არმიელებს „ნაკაზი“ მათი მუშაობის ირგვლივ სოფლად, რომელშიაც აღნიშნულ იყვეს მთავარი მუხლები: აქტიური მონაწილეობის მიღება სოფლის საზოგადოებრივ მუშაობაში, მჭიდრო კავშირის დაჭერა ტერნაწილთან და მის უფროსებთან, აქტიური მონაწილეობის მიღება გლეხების გასამხედროების საქმეში, ტერსისტემის გაშუქება გლეხთა შორის“.

**სხდომის დახურვა.**

სხდომის დასასრულს ამხ. ბლუაშვილმა და მე-6 ლეგიონის მეთაურმა ამხ. გრიგოლიამ მოკლე სიტყვაში აღნიშნეს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს კონფერენციას ტერამშენებლობის საქმეში. ვინაიდან წითელ არმიელებმა თავისი საქმიანი შენიშვნებით სწავლების ირგვლივ, შეძლება მისცეს უფროს ამხანაგებს გამოასწორონ მრავალი ნაკლი. ამ ნაკლების გამოსწორება კი წინ წასწევს ტერამშენებლობის საქმეს.

კონფერენცია დაიხურა საღამოს 5 საათზე „ინტერნაციონალით“.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მეცადინეობა ნაყოფიერად დამთავრდა.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონში უკვე დამთავრდა პარტუჯრედების მდივნების მოსამზადებელი სემინარის მეცადინეობა, რამაც საკმაოდ დიდი ნაყოფი გამოიღო. მსმენელები სათანადო ცოდნით იქნენ აღჭურვილი. ყოველგვარი იმედებია იმის, რომ კურს დამთავრებული ამხანაგები თამამად შესძლებენ პარტმუშაობის წარმოებას და უჯრედების ხელმძღვანელობის გაწევას.

მომავალში ლეგიონის პარტუჯრედები საკმაოდ გამოცოცხლდებიან ახალი, ენერგიით სავსე და დაინტერესებული მუშაკების შემატებით.

ზენობნელი.

## სემინარმა იმედები გაამართლა

სამხ. მეთაურთა სკოლა.

ჩვენს სკოლაშიც ამ რამოდენიმე ხნის წინად გახსნილი იქნა უჯრედების მდივნების მოსამზადებელი სემინარი, რომელშიდაც მიღებული იქნენ სამეცადინოთ სკოლის მთელი პარტაქტივი და კომკავშირის უჯრების მდივნები.

სემინარის მიზანი იყო საკავშირო კომპარტიის XIV ყრილობის რეზოლიუციების დამუშავება, რაც წარმატებით იქნა ჩატარებული. ამხანაგები დიდ მონდომებასა და ინტერესს იჩენდენ, როგორც მოხსენებების დამზადებაში, ისე კამათში მონაწილეობით.

სემინარის ხელმძღვანელი საკმაოდ მომზადებული ამხანაგია. ახალი მუშაკების გამოშვება დიდ ნაყოფიერებას შეიტანს სკოლის პარტორგანიზაციის მუშაობაში და გამოაჯანსაღებს მას.

ა. ჩარკვიანი.

## ჩვენი ახკომკავშირი გამოცოცხლდა

1-ლი ლეგსკოლა.

სკოლის ახკომკავშირის ჯგუფი აერთიანებს 85 წევრს, რომელთაშორის დაუღალავი მუშაობა სწარმოებს სამხედრო და პოლიტიკურ დარგში. ბანაკობის დროს ეს მუშაობა კიდევ უფრო გამოცოცხლდა.

ვსწავლობთ მოგერიებითი და შეტევითი ბრძოლებს, სასანგრე საქმეს და სხვა.

სკოლაში დაარსებულია პარტიული და კავშირის სკოლები, აგიტპროპკოლექტივი, რომელშიდაც თავმოყრილი ამხანაგები ენერგიულად მუშაობენ.

ახკომკავშირის წევრების ინიციატივა დიდია და კიდევ უფრო იზრდება თვითმოქმედ ორგანიზაციებში, როგორიც არის: რემედასი, ავიაქიმი, კოოპერაცია და სხვა. ამ საზოგადოებების ირგვლივ დარაზმულია სკოლის კურსანტთა შემადგენლობის 90 პროც.

ლენინის კარავში კარგად არის დაყენებული პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა. უჯრედისა და ჯგუფის მიერ გამოყოფილი ამხანაგები ყოველ საღამოობით ატარებენ—საუბრებს და ლიტერატურულ გასამართლებებს.

პარტხელმძღვანელობა ჯგუფზე ცოტა მოიკოჭლებდა, მაგრამ ამას შესაფერი ყურადღება მიაქცია ბიურო კოლექტივმა და ნაკლი გამოსწორებული იქნა.

კავშირი გვაქვს გაბმული მე-2 რუსულ ლეგსკოლასთან და რკინის გზის უჯრედთან და ვეცნობით ერთმანეთის მუშაობას.

ბ. ვარდია.

## ასეული მოგერიებაში.

ასეულის მოგერიების სწავლების დროს მეთაურთა შემადგენლობამ უნდა შეისწავლოს მართვის ის ხერხი, რომელიც იხმარება მოგერიების დროს; ამას გარდა მოგერიების სწავლება იძლევა ოცეულების შეერთებულ მოქმედების პრაქტიკას ასეულის შემადგენლობაში.

გარემოების მიხედვით ასეული მოგერიებისთვის ღებულობს რაიონს 500-დან 1.000 მეტრამდე კედაროთი და სიღრმით. ღებულობს რა ათასეულის უფროსისაგან ამოცანას, ასეულის უფროსი მოკლედ უხსნის მას ასეულს და უფრო დაწვრილებით—ოცეულის უფროსებს. ამის შემდეგ ასეულის უფროსი გზავნის მძიებლებს ნაჩვენებ მიმართულებით, შემდეგ გზავნის რა წინ 800 მეტრზე დამცველ ათეულებს, მას ფარული მისავალით მიჰყავს ასეული მოგერიებისთვის დანიშნულ რაიონისკენ.

მოგერიების რაიონთან მისვლისას ასეულის უფროსი ათავსებს ასეულს ფარულ ადგილზე, ნიშნავს მოადგილეს და განკარგულებას ახდენს მოთვალთვალეთა დაყენების შესახებ. შემდეგ ამისა ოცეულების უფროსებთან ერთად სწავლობს ადგილ-მდებარეობას და არკვევს, თუ როგორ გაანაწილოს ასეულის ცეცხლის საშუალებანი; როგორი ადგილობრივი საგნები შეიძლება გამოიყენოს მოგერიებისთვის; სად მოეწყოს სათვალთვალო წერტები; სად მოთავსდეს რეზერვი და სხვა.

ოცეულები უნდა მოეწყონ ისე, რომ მტერი მოექცეს ჯვარედინ ცეცხლში. გარდა ამისა ოცეულებს უნდა ჰქონდეთ ურთიერთშორის ცეცხლის კავშირი.

რეზერვი მოეწყობა იმ მანძილზე, რომ დროზე მიეშველოს საფრთხილო ადგილზე მოთავსებულ მეომრებს. მოთავსების სიშორე დამოკიდებულია ადგილ-მდებარეობაზე (300-დან 800 მეტრამდე), მაგრამ ისე, რომ მტერმა ვერ შესძლოს ოცეულის უბნებისა და რეზერვის ერთსადაიმავე დროს შემუსვრა.

კავშირი იქნება ოცეულის უფროსებთან და მეზობლებთან ტელეფონით, მარბიელებით, ხმებითა და შთანგებით. შემდეგ ასეულის უფროსი ერთ-ერთ ოცეულს დაანიშვნიებს მოთვალთვალეს ჰაეროპლანებზე. აწესებს ქიმიურ სათვალთვალოს და მოთვალთვალის სამყოფ ადგილს.

ამას გარდა ასეულის უფროსი აწესებს პირობითი ნიშნებს ქიმიურ თავდასხმის შემთხვევისთვის და სხვა.

ვაზნების წერტები კარგად უნდა იქნან დაფარული და მოხერხებული ისე, რომ ადვილად შეიძლებოდეს ოცეულებზე ვაზნების მიწოდება.

ასეულის უფროსი უჩვენებს მოწინავე და ასეულის ვაზნის წერტებს და განკარგულებას ახდენს იქონიონ ვაზნების მარაგი სანგრებში.

ა. მ.

# შეღავათები ჯარში გაწვევის დროს *)

### ვინ ითვლება შრომის უნარ მოკლებულად?

საშეღავათო უფლების განსაზღვრის დროს ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრად ითვლებიან:

მამაკაცები 18 წლამდე და 55 წელს ზევით; ქალები 18 წლამდე და 50 წელს ზევით; ქალები, რომლებიც გაწვევის დღისთვის იმყოფებიან ორსულობის პერიოდში, რაც უნდა დამტკიცებულ იქნას საექიმო—საკონტროლო კომისიის მიერ სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებებში; ქალები, რომელთაც ჰყავთ ბავშები 8 წლიანამდი და ინვალიდები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ შველას თავის ჩვეულებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (ე.ი. ბრმები, უხელფეხოები, რომელთაც არ შეუძლიათ თავის ხელით ჩაცმა და სხვა).

ინვალიდები, რომლებიც თუმცა არ საჭიროებენ სხვა პირის მხრივ სხვების მოვლას, მაგრამ არავითარი შრომა არ შეუძლია, რომ შემოსავალი გაიჩინონ, ითვლებიან აგრეთვე მეორე ჯგუფის ინვალიდებად (ინვალიდობის მოწმობას აძლევს სამხედრო ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებული საექიმო საკონტროლო კომისიის ექიმები).

*) დასაწყისი იხილეთ ჩვენი გაზეთის № 140.

### ვის არ აქვს შეღავათის უფლებები.

შეღავათის უფლებებით არ სარგებლობენ შემდეგი კატეგორიები:

მოქალაქეები, რომლებსაც დაუსრულებიათ უმაღლესი სასწავლებლები, მუშათა ფაკულტეტები, ტეხნიკუმები, მეორე საფეხურის სკოლები და მათი შესაბამი სასწავლებლები. შეღავათის უფლებებს მოსწავლეები მოკლებული არიან იმისთვის, რომ მათთვის დაწესებულია შეღავათიანი სამსახურის ვადა—არა უმეტეს ერთი წლისა, იმ პირობით, თუ რომ ისინი ჩააბარებენ გამოცდებს თადარიგის მეთაურის სახელწოდებაზე.

მოქალაქეები, რომელთა მიმართ დამტკიცებული იქნება, რომ ისინი სცდილობდენ განზრახ გაქცეოდენ სამხედრო სამსახურს, რისთვისაც ეწევიან სიმულიაციას, ე. ი. განგებ იზიანებენ სხეულის რომელიმე ნაწილს; ამას გარდა ვინც რომ წარადგენს ყალბ ცნობებს ოჯახის შემადგენლობაზე, თავის ჰასაკზე და სხვა.

მოქალაქეები, რომლებიც მოკლებული არიან წითელი არმიის რიგებში სამსახურის უფლებას და ირიცხებიან ზურგის ლაშქარში, ე. ი. მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ არჩევნების უფლება საბჭოებში, რომელთაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ უფლებები და გადასახლებული არიან ადმინისტრატიული წესით.

### იმ პირთა გაწვევის შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სასამართლოს მიერ

თუ რომ ამა თუ იმ მოქალაქის გაწვევის მომენტი ხვდება განაჩენის გამოტანის დროს იძულებითი სამუშაოს შესახებ თავისუფლების აღუკვეთავად, მაშინ აღნიშნულ კატეგორიის პირს ეხება გაწვევა სხვებთან ერთად საერთო საფუძველზე.

### წყლის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა შეღავათებზე.

კანონის 138 მუხლი ითვალისწინებს, რომ ტრანსპორტის მუშები და გლეხები სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს არ იგზავნებიან ცვალებად შემადგენლობაში, არამედ ინიშნებიან არმიის ძირეულ შემადგენლობაში ან და ინიშნებიან იმ პირთა კატეგორიაში, რომელიც გადის სამსახურს ჯარის გარეშე წესით.

ეს მუხლი ვრცელდება წყლის ტრანსპორტის ყველა მუშებსა და მოსამსახურეებზე, ე. ი. როგორც მცურავ, ისე არა მცურავ შემადგენლობაზე.

### სოფლის სკოლების მასწავლებელთა შესახებ.

ახალი დადგენილების თანახმად ვადის გადადების შეღავათი გაწვევის დროს ეძლევა ყველა 1-ლ საფეხურის სოფლის სკოლების 7 წლედებისა და გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს მანამ, სანამ ისინი ითვლებიან ზემოაღნიშნულ სკოლების მასწავლებლად.

თვითეულ მასწავლებელმა, რომელიც დაბადებულია 1904 წელში, აგრეთვე 1903—1901 წლებში ა.წ. 1-დან 10 აგვისტომდი უნდა გამოცხადდენ თემის ან რაიონის აღმასკომში, ვადის გადადების შესახებ. მაგალითად სექტემბრის პირველ ნახევარში, მასწავლებლები, რომლებიც სარგებლობენ ვადის შეღავათით, მიიღებენ ხელზე სათანადო საბუთებს.

შეიძლება ესა თუ ის მასწავლებელი, რომელსაც მიუღია შეღავათი ვადის გადადების სახით, მიწერილი იყოს გასაწვევ უბანზე არა თავის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ასეთები უნდა გამოცხადდენ თემის ან რაიაღმასკომში თავის საცხოვრებელ ადგილზე, რომლის საშუალებით მათ მიეცემათ შეღავათი, ხოლო იმ ორგანოებს, რომლებზედაც ისინი მიწერილი არიან, გაეგზავნებათ ამის შესახებ ცნობა.

თუ რომ ზემოხსენებულ პირთაგანი დასტოვებს სამსახურს, აუცილებლად უნდა გააცხადოს დაუყონებლივ თემის ან რაიაღმასკომში. ის გაიწვევა უახლოეს მორიგ ჰასაკთან ერთად.

მ. ო.

# რა უნდა აკეთოს ავიაქიმის უჯრედმა

### ავიაქიმის წევრთა უფლება და მოვალეობა

ავიაქიმის (ავიაციის, ქიმიური თავდაცვისა და მრეწველობის მეგობართა საზოგადოება) ნამდვილ წევრებად შეუძლიათ იყვენ სსრკ-ს ყველა მოქალაქეები 18 წლიანთა ზევით, რომლებიც არ არიან უფლებრივად შეზღუდული სსრკ-ს კონსტიტუციით.

მშრომელებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ 18 წლის ჰასაკამდი, შეუძლიათ იყვნენ „საჰაერო ფლოტისა და ქიმიის ახალგაზრდა მეგობრები“.

ავიაქიმში წევრად შესვლისთვის საჭიროა შეტანილ იქნას განცხადება ავიაქიმის უჯრედის ბიუროში, რის შემდეგ განცხადების შემტანს წევრად ამტკიცებს უჯრედის საერთო კრება.

ყოველწლიური სავალდებულო საწევრო გადასახადი წითელ არმიელთათვის უდრის 10 კაპიკს, მოსწავლეთა და პიონერთათვის—10 კაპ., გლეხთათვის—30 კაპ., მუშა-მოსამსახურეთათვის—60 კაპ.

მაგრამ მარტო საწევრო ფულის შეტანით არ განისაზღვრება ავიაქიმის წევრთა ვალდებულებანი. წევრებმა უნდა იმუშაონ ავიაქიმის ორგანიზაციებში, საავიაციო უჯრედებსა და ქიმიის წრეებში, საცდელ—საჩვენებელ სადგურებში, იკითხონ წიგნები ავიაციასა და ქიმიაზე, აწარმოონ აგიტაცია ავიაქიმში შესვლაზე, ხელი შეუწყონ ავიაქიმის გამოცემათა გავრცელებას (ჟურნალ-გაზეთების, წიგნების ნიშნებისა და სხვა).

სამხედრო და სამოქალაქო საავიაციო—ჰაერფრენისა და ქიმიურ სკოლებში შესვლისას ავიაქიმის წევრი სარგებლობს ავიაქიმის დახმარებით სკოლაში შესვლაზე.

### ავიაქიმის უჯრედი.

ავიაქიმის დაწყებითი ორგანიზაციას წარმოადგენს უჯრედი, რომელიც ეწყობა სოფლად, ფაბრიკაში, სამხედრო ნაწილში, მაგრამ იმ პირობით, თუ რომ მოიპოვება ავიაქიმის არა ნაკლებ სამი წევრისა.

უჯრედის ამოცანაა ნებაყოფლობით მიიზიდოს ავიაქიმის რიგებში მშრომელები, ჩააბას ისინი ავიაქიმის ამოცანების ასრულების საქმეში ავიაციისა და ქიმიის ცოდნათა წრეების საშუალებით და სხვა.

ამას გარდა უჯრედს ევალება გაავრცელოს ავიაციისა და ქიმიის ცოდნა, შეაგროვოს შეწირულება ავიაქიმის მუშაობის გაძლიერებისა და განვითარებისთვის.

### უჯრედის პრაქტიკული მუშაობა საუკეთესო აგიტაციაა მშრომელ მასების მისაზიდავად ავიაქიმში

უჯრედის ძირითად საქმიანობას შეადგენს პრაქტიკული მუშაობა. ეს იქნება საუკეთესო აგიტაცია მშრომელთა მისაზიდავად ავიაქიმში. მაგალითად ქიმიის გამოყენება მავნებლებთან ბრძოლაში. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მუშაობა საუკეთესო გზაა დაინტერესებულ იქნას გლეხობა ქიმიით.

სოფლად უჯრედების მუშაობაში პირველყოვლისა მიიზიდებიან აქტივისტი, დემობილიზაციაში წასული წითელ არმიელები, წვევადელები და ცვალებადლები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და კოოპერაციის მუშაკნი.

უჯრედის მუშაობა მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული ქოხ-სამკითხველოსა და სამხედრო ცოდნათა წრის მუშაობასთან.

ტ.

# სამოსწავლო შეკრება დამთავრდა.

## ვალდებულნი, სახლში დაბრუნებისას გაასკეცებული ენერგიით ემზადეთ საერთო შეკრებისათვის

## [სა]მხედრო საქმისადმი ძლიერდება ინტერესი.

მე-4 ლეგ. საკავშირო ოცეული.

ჩვენი ნაწილი ყოველმხრი[ვ] არის დაკმაყოფილებული [ს]ურსათ-სანოვაგით, ტანსაცმ[ლ]ით და სხვა საჭირო ამუნიციით. სამხედრო და ტეხნიკური მეცადინეობა ნორმალურად [მიმდინარ]ეობს. სპეციალურ საკავ[შ]ირო საქმით ძლიერ არიან [დ]აინტერესებული წითელარმიელები, რაც აიხსნება მეთაურების კარგი მომზადებითა და [და]მოკიდებულებით წითელარმიელებთან.

პოლიტიკური ხასიათის მუშაობაც ნაყოფიერად სწარმოებს. ყოველ საღამოობით ტარდება ლენინის კუთხეში საუბრები და კითხვა-პასუხის საღამოები. თვითგანვითარებას ძლიერ ეტანებიან წითელარმიელები. ეწყობა ხშირად ექსკურსიები საყურადღებო დაწესებულებებსა და ადგილებში. ამას წინად ვინახულეთ ადგილობრივი ელსადგური და ტელეგრაფის სადგური, რომლებიც დაწვრილებით გავიცანით და სრული წარმოდგენა მივიღეთ მათი მუშაობის შესახებ.

ნ. ნოზაძე.

### ვინახულეთ სასოფლო სამეურნეო ბაღი.

მე-4 ლეგ. მესამე ასეულის შემადგენლობა წაგვიყვანეს ამას [წინა]დ სასოფლო-სამეურნეო ბაღის დასათვალიერებლად, სადაც დაგვ[ხვ]და ბაღის ზედამხედველი და აგრონომი. გაგვყვეს სამ ჯგუფად, [რის] შემდეგ დაწვრილებით დაგვათვალიერებიეს სამყენი ნერგები [და] ხეხილის ბაღი. გამგე დაწვრილებით ახსნა-განმარტებას იძლე[ო]და ყველა ჯიშის მცენარეების შესახებ. აგვიხსნა თუ როდის უნდა [წარმ]ოდეს დამყნა, იმის შემდეგ ნერგის გადარგვა და მრავალი სხვა. [ყურა]დღებით ვადევნებდით თვალს თუ როგორა მყნიდენ მუშები ნერგებზე.

შემდეგ დავათვალიერეთ ბოსტანი, რამაც წარუშლელი შთა[ბე]ჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე. დასასრულ გამგემ მიგვი[პა]ტიჟა მსხალსა და კიტრებზე, რამაც დიდი სიამოვნება გამოიწვია [წი]თელ არმიელებში. ასეთი ექსკურსიები გაგვიადვილებს კულტუ[რ]ული მეურნეობაზე წარმოდგენას.

ნ. კალანდაძე.

## [ჩ]ვენი ასეული თავის სიმაღლეზე სდგას.

მე-5 ლეგ მე-2 ასეული

[ჩვენს] ასეულში წარმატებით ტარდება ყოველ საღამოობით სკოლის გარეშე მუშაობა. ნაწილში მრავალი წრეები და ბირთვებია ჩამოყალიბებული, რომლებშიდაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ როგორც წითელარმიელები, ისე მეთაურთა შემადგენლობაც. იკითხება კუთხეში პოლიტიკური და [სამხედრო] და სხვა ხასიათის ლიტერატურა. ახალწვეულების სიხარულს საზღვარი არ აქვს, როცა მიმდინარეობს ლიტწრის მეცადინეობისა და გასამართლებებისათვის სამზადისი. წერა-კითხვის უცოდინარობას კარგა ხანია ბოლო მოეღო ნაწილში.

ნაწილში არიან ახალწვეული—წერა-კითხვის უცოდინარი ორი ამხანაგი, რომლებმაც მოისურვეს ქართული წერა-კითხვის შესწავლა და პოლიტხელის ხელმძღვანელობით კიდევაც მიაღწიეს მიზანს. მშვენივრად სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას და დიდათაც უხარიათ.

ჩვენი ცვალებადელები შესაფერად მომზადებული და განვითარებული უბრუნდებიან თავიანთ სოფლებს.

ნ. გიორგობიანი.

### ლიტწრის მუშაობა.

მე-3 ლეგიონის სკოლაში არსებული ლიტწრე სისტემატიურად [აწ]ყობს გასამართლებებს. ბანაკში გასვლის შემდეგ წრემ სამჯერ [მო]აწყო დეზერტირების გასამართლება, რომელშიდაც დიდ მონაწილეობას ღებულობდა სკოლის კურსანტთა მთელი მასა.

ხშირად იმართება აგრეთვე ლიტერატურული გმირების გასამართლებანი. წრე ნაყოფიერად მუშაობს ამ უკანასკნელ ხანებში, [რ]ამაც საგრძნობი განვითარება და გამოცდილება შეიტანა წითელ [ა]რმიელებში.

როყუა.

### ჩვენი წრეები.

1-ლ ცალკე მესანგრეთა ასეულში ჩამოყალიბებულია მრავალი [წ]რეები, როგორიცაა: ფიზკულტურის, სამხკორთა, სასოფლო სამეურ[ნე]ო, ლიტერატურული და სხვა. წრეების მუშაობა გაძლიერებულია. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. თითქმის ყველა მო[ს]აწავლენი არიან ჩაწერილი სხვა და სხვა წრეებში და გულმოდგი[ნე]დ ეწაფებიან თვითგანვითარების საქმეს.

დ. ქაბზინაძე.

## როგორ მუშაობენ სოფლად შვებული წითელ არმიელები.

წერილი სოფ. უდედან (ახალციხის მაზრა)

1902 წელში დაბადებულთა და მაისში გამოწვეულ წითელ არმიელებს იმდენი ცოდნა მოგვცა წითელმა ყაზარმამ, რომ შვებულებაში წასვლის შემდეგ თამამად შევსძელით მისი გამოყენება სოფელში მუშაობის დროს.

პირადათ მე წითელ ყაზარმაში ვისწავლე წერა-კითხვა, მივიღე პოლიტიკური და საზოგადო განვითარება და ნამდვილი აღზრდა. ჩვენი ქვეყნის მიყრუებული მხარეებიდან გამოსული უსწავლელი გლეხის შვილებისათვის წითელი ყაზარმა ნამდვილი სკოლაა, სადაც მათ ეხილებათ თვალები, იძენენ ცოდნას და სულ გადასხვაფერებული ბრუნდებიან სოფლებში.

ასე მომივიდა მეც. წითელი ყაზარმიდან გამოცვლილი, ცოდნით აღჭურვილი და განვითარებული დავუბრუნდი ჩემს სოფელს. ადგილობრივმა გლეხებმა, რომ ასე გამოცვლილი მნახეს თვალებს არ უჯეროდენ და სულ წითელი ჯარის ხსენებაში არიან.

სოფელში მისვლისთანავე სათავეში ჩაუდექი ქოხსამკითხველოს მოგვარების საქმეს, რომელიც მშვენივრად მოვაწყვეთ ადგილობრივი ახალგაზრდობის დახმარებით, შამოვიკრიბე გარშემო ისინი და ისეთივე წესით ვაწარმოებთ მუშაობას მასში, როგორც ეს ყაზარმაში შეგვასწავლეს და დაგვარიგეს სოფელში გამოსტუმრების დროს. ვსცდილობთ სამხედრო საქმის პროპაგანდის შესახებაც. ჯერ-ჯერობით ამასაც კარგი ნაყოფი მოაქვს. არსებობს სამხედრო კუთხე, რომელსაც გლეხები დიდათ ეტანებიან.

ასე ვმუშაობთ ჯერ-ჯერობით და ვსცდილობთ კიდევ უფრო გავაღრმავოთ მუშაობა, რაშიდაც კიდევ დიდ ხელმძღვანელობას გაგვიწევს ჩვენი ყოფილი ნაწილი.

ყოფ. წით. არმიელი.

## სროლა წარმატებით ჩავატარეთ.

მე 6 ლეგ. მე-6 ასეული.

ამას წინად ასეულელმა ჩაატარა ვარჯიში სროლაში. წითელ არმიელები გულის ფანცქალით ელოდენ ბრძანებას სროლების დაწყების შესახებ. ყველას უნდოდა გამოეჩინა თავი და კარგი მსროლელის სახელი დაემსახურებია.

სროლისთვის მომზადებული წითელ არმიელები უცდიდენ ბრძანებას· ყველა ნერვიულობდა როგორც იქნა (ერთი წუთი ერთ წელიწადად გვეჩვენებოდა ბრძანების მოლოდინში) გაისმა სროლების ხელმძღვანელის ბრძანებაც... გავარდა პირველი შაშხანა, მას მიყვა მეორე, მესამე და ჩქარა ერთმანეთში აირია წესიერად შენაცვლებული შაშხანების სროლის ხმა.

მიზანთან მდგომი ამხანაგები ხშირად აჩვენებდენ მოხვედრილ ნიშანს და ეს კიდევ უფრო ახალისებდა წითელ არმიელებს და იტაცებდა მათ ზედმეტი გამარჯვებისაკენ.

სროლები საერთოდ წარმატებით ჩატარდა 80 პროცენტით. არმიელებმა კარგი ცოდნა და დაკვირვება გამოიჩინეს შაშხანის მოხმარებაში.

„ჩვენი ასეთი გამარჯვება ჩვენი უფროსების ბრალიაო“—გაიძახოდენ წითელ არმიელები გზაში და მხიარულად—სიმღერითა და ყიჟინით მიეშურებოდნენ ყაზარმებისაკენ, რომ სხვა ნაწილისათვის გადაეცათ თავისი მიღწევების შესახებ ცნობა.

პ. ლობლაძე.



სამხედრო წრის წევრები სწავლობენ სროლას.

# წითელი მებრძოლნი ბანაკში.

## ჩავეწერეთ წერკუმსში

1-ლი ლეგ. 7 ასეული.

21 ივლის პირველი ლეგიონის 7 ასეულის მთლიან შემადგენლობამ მოიყარა თავი ლენინის კარავში, სადაც გაიმართა საუბარი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისთვის წერკუმსს და როგორ დიდი მნიშვნელობის დახმარებას უწევს ის უცოდინარებს. პოლიტხელმა გაგვაცნო წერკუმსის დანიშნულება და სხვა. ბოლოს მოგვიწოდა ყველას ჩავწერილიყავით ამ საზოგადოებაში და ჩვენც შეგვეტანა წვლილი მის მუშაობაში. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. მთელი ასეულის შემადგენლობა ჩაეწერა წევრებად.

ა. ბენიძე.

## ჩვენი სამხკორთა მუშაობა.

ვსწავლობთ საარმიო 3 სამხკორთა თათბირის დადგენილებებს.

მესამე ლეგიონის სამხკორთა წრემ ბანაკში ჩამოსვლისთანავე დაიჭირა კავშირი მუშკორთა ბიუროსთან. სამხკორთა წრიდან გამოყოფილი იქნა ერთი ამხანაგი და მივამაგრეთ მუშკორთა ბიუროსთან, რომელიც ეცნობა მის მუშაობას, თავის მხრივ მათ აცნობს ჩვენსას. ხშირად ვაწყობთ გაერთიანებულ კრებებს, რომლებზედაც კეთდება საანგარიშო მოხსენებები თავიანთი მუშაობის შესახებ ორივე მხრიდან. ამას გარდა, წრემ გამოყო აქტიური ამხანაგები და მიამაგრა იმ ორგანიზაციებზე სადაც გამოდის კედლის გაზეთები რომ უხელმძღვანელონ მათ სამხედრო განყოფილებებს. სისტემატიურად ვახდენთ კედლის გაზეთების გაცვლა-გამოცვლას. ხშირად ათავსებენ მუშკორები წერილებს ჩვენს კედლის გაზეთში. ადგილობრივ მუშაკთა ცენტრალურ კლუბში დავაარსეთ სასროლო წრე, რომელშიაც დიდი სიხარულით ჩაეწერენ ადგილობრივი ახალგაზრდობა.

ყოველ კვირა დღეს გავდივართ ველში და ვარჯიშობთ სროლაში.

კენჭაძე.

## სტუმრად საშეფო სოფელში

1-ლი ც. საკავშირო ასეული

— ამხ. წითელ არმიელებო! 18 ივლისს ჩვენ, ცალკე მესანგრე და 1-ლი კავკასიის დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული საშეფო სოფელში უნდა წავიდეთ, აქედან სულ რვა ვერსია.—რიხიანად განაცხადა ჩვენმა მეთაურმა და ღიმილით გადაჰხედა წითელარმიელებს.

— ვაშა, „სმიჩკა“! წამოიძახეს წითელარმიელებმა და ყველამ სიხარულისაგან ტოკვა დაიწყო.

სოფელში საშეფოთ წასვლა, ჩვენი ძმების ნახვა, მათთან საუბარი, რჩევა-დარიგება, ახსნა-განმარტება —აი რა უტრიალებდა თავში თითეულ ჩვენგანს 18 ივლისამდი.

ნანატრი დღეც გათენდა.

სამ საათზე უკვე თავი მოვიყარეთ ჩვენ და რუსულ ნაწილმა და გაუდექით გზას. განაწილებული იყო თემები თუ ვის რაზე ელაპარაკა: მეფისა და წითელი ჯარი, რელიგია, კომკავშირის როლი სოფლად, კოოპერაცია, მესაქონლეობა და ბოლოს გვყავდათ სცენაზე მოთამაშენიც.

მივდივართ. გზა იკეცება. პურის ყანები, ბაღები, ბოსტნები ერთმანეთს სცვლიან. სავსებით შეერთდა ქართული და რუსული ნაწილები. შეერთებული მსვლელობა, კითხვა, პასუხი, გაცნობა, და მეგობრობა. გველაპარაკებიან რუსეთზე, რუსეთის სოფლებზე, ვესაუბრებით საქართველოზე, ჩვენს სოფლებზე, ჩვენს მუშაობაზე.

მიუახლოვდით სოფელს.

— მოდიან, მოდიან!—გაიძახიან ბალღები.

დაბალი სახლები, სახლების წინ ქალები, ბავშები, მოხუცები; მადლობას გვიხდიან. ტაში, ვაშა· გავიარეთ სოფელი უფლისციხე. ამაყად სდგას თამარის დროის მოწამე ციხე, ჩუმი, მაგრამ მრავალ მეტყველი.

მივედით ადგილზე. დავიშალეთ. იმართება დოლი, სიმღერა, ლეკური, შამილი, ბაღდადური, „კაზაჩოკი“...

— მიირთვით თხილი—გვაწოდებენ ქალები, ბავშები.

— აიღეთ ფული—ვეუბნებით.

— ფული არ გვინდა, თქვენ ჩვენი ძმები ხართ, ჩვენი დამცველი.

ვინახულეთ ციხე. საკვირველი შთაბეჭდილება.

ღამდება. მოიზლაზნება ცხვრის ფარა, ჯოგი· მოსდევენ ბავშები, სალამურით ხელში.

ცა იღრუბლება. ნელ-ნელა მოდის წვიმა. წარმოდგენა მაინც ტარდება.

— ნახვამდის უფლის ციხევ! ვბრუნდებით უკან.

— ნახვამდის, კვლავ უკეთესად დაგვხვდებით.

ასეთი იყო მცხოვრებთა უკანასკნელი სიტყვები.

დ. ვაჩეიშვილი.

## ვეხმარებით გლეხებს

1-ლი ლეგიონი.

ბანაკის ახლო მახლო მცხოვრებ გლეხობას დიდი დახმარებას უწევენ ლეგიონის წითელ არმიელები მინდვრად მუშაობის დროს. თავისუფალ საათებში, ჩვენი უფროსების ნებართვითა და ხშირად მათი თაოსნობითაც შევიკრიბებით ჯგუფ-ჯგუფად და მივეშურებით პურებიან ყანებისაკენ, სადაც ვეხმარებით გლეხებს მკაში.

დააჭერს თუ არა პაპანაქება სიცხე გლეხებთან ერთად ჩვენც ვისვენებთ ჩრდილში და აქ ვაწარმოებთ მათთან საუბრებს. ამნაირად მათთან ყოფნის დროს არ ვკარგავთ ტყვილა, ერთ წუთს. ვეხმარებით სამუშაოზე და ამავე დროს ვესაუბრებით სხვა და სხვა მნიშვნლოვან საკითხებზე.

ისინი ძლიერ დაინტერესებული არიან ჩვენი ყაზარმის ცხოვრებით და როდესაც ჩვენც მოუყობით თუ როგორ გვეპყრობიან და როგორი ამხანაგური დამოკიდებულება გვაქვს მეთაურებთან მეტად უკვირთ.

ნიკალაის დროს კი „ფეთებლები“ კბილებს გვამტვრევდენ სალდათებსო“, გვეუბნებიან მეფის ჯარში ნამსახური გლეხები.

ხშირად გვიყვებიან აგრეთვე იმის შესახებ თუ როგორ აოხრებდენ ბანაკობის დროს, მეფის ჯარები გლეხის ნამუშევარს.

საერთოდ მახლობელი სოფლების გლეხობა დიდი მადლობელია ჩვენი და გვთხოვენ ხშირად მოვინახულოთ ისინი.

ბ. თათულოვი.

## არმიის სარდალი სამხედრო პოლიტსკოლების ბანაკში.

4 დღეა, რაც არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი და რევსამხსაბჭოს წევრები ესტუმრენ აღნიშნულ სკოლების ბანაკს.

სტუმრები დაკვირებით ეცნობიან სკოლების კურსანტების ყოველდღიურ ცხოვრებას და კმაყოფას. განსაკუთრებული ყურადღებას აქცევენ სკოლების ტაქტიკურ მეცადინეობას ველში და საომარი სროლების წარმოებას, რომლებსაც სისტემატიურად ესწრებიან ამხანაგები.

დიდი ყურადღებას აქცევენ უფროსი კურსის კურსანტების მომზადებას, რომლებიც ა. წ. აგვისტოში ათავებენ ნორმალური სკოლებს.

ამჟამად ჩვენთან სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, როგორიცაა: ტაქტიკური სასროლო მომზადება ველზე, საომარი სროლის წარმოება ჯგუფური და ცალკეულად.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საომარ მდგომარეობაში (პრაქტიკულად) პოლიტიკურ მუშაობას და ღამით საველე მეცადინეობას, მთა-ღრიანი ადგილებში და ტყეში სამხედრო თვალსაზრისით მოქმედებას. მიუხედავათ სისტემატიური კოკისპირული წვიმებისა, მეცადინეობა არ გაგვიცდენია. ამ რამოდენიმე დღის შემდეგ ამოწურული იქნება საბანაკო პერიოდის სამუშაო გეგმა—სამხედრო საგნებში. შემდეგ გაიმართება მოძრავი ალლუმი (მანევრი), რომელშიც შევა აგრეთვე მთელი კომპლექტი სხვა მუშაობისა, მაგალითად: პოლიტმუშაობა მოსახლეობასთან, კულტურული-გამანათლებელი და მრავალი სხვაგვარი.

ამის შემდეგ ჩატარდა უფროსი კურსის კურსანტ. საგამოშვებო გამოცდები სამხედრო და სამწყობრო განათლებაში·

სკოლის მთელი შემადგენლობა აწარმოებს ბანაკის ახლო-მახლო სოფლელებში დიდ მუშაობას პარტკულტგამანათლებელი და გასამხედროების მიზნით.

15 ივლის, ქართული სამხედრო პოლიტსკოლას საველე პრაქტიკული მეცადინეობის წარმოებას დაესწრო ამხ. ლევანდოვსკი და რევსამხსაბჭოს წევრი ამხ. ლოზოვსკი და სხვა, რომლებმაც მეცადინეობის დამთავრებამდე დაჰყვეს ჩვენთან. ცხრილის თანახმად ჩვენი მეცადინეობა იყო, ე. ი. ასეულის მოქმედება მთა-ტყიანი ადგილებში და პოლიტმუშაობა საომარ მდგომარეობაში. სამეცადინოთ ჩვეულებრივათ დავდივართ ახალ-ახალ მთიან ადგილებში 4-5 კილომეტრის სიშორეზე. უკანასკნელად მეცადინეობამ მიიღო მეტათ საინტერესო ხასიათი. ასეულის საკომანდო შემადგენლობაში დანიშნული იყვნენ უფროსი კურსის კურსანტები.

დანიშნული კურსანტები არ სტოვებენ არასფერს გაუშუქებელს, შეუსრულებელს და გაუთვალისწინებელს.

მიუხედავათ ხრამების, გაუვალი ტყისა და მაღალი მთებისა ამოცანები კარგად იქნა შესრულებული. კურსანტები დატვირთული იყვნენ სრული სალაშქრო საჭურველით და მძიმე ტყვიამფრქვევებით. 18 საათზე ჩვენი მეცადინეობა დამთავრდა და დასვენების შემდეგ მოხდა მისი გარჩევა. მოხსენებაში და კამათში მიიღო მონაწილეობა ყველა სკოლების მთელმა შემადგენლობამ.

ჯ. ქუთელია.

# სასოფლო მეურნეობა ამერიკაში

ბევრი ჩვენი გლეხი, როცა დაინახავს ჩვენში ამერიკიდან შემოტანილ ტრაქტორებს, უსათუოდ იფიქრებს, რომ ამერიკაში თითქმის თვითეულ გლეხს ექნება ტრაქტორიო.

მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არაა. ტრაქტორით იქ სარგებლობს ოცში ერთი, ხოლო ბევრ ოლქში ტრაქტორი კი სრულებით არ მოიპოება. საერთოდ ამერიკელები არ ზრუნავენ მოსავლიანობის გადიდებაზე. ისინი თითქმის არ ხმარობენ გასანოყიერებელ ნივთიერებას.

ამერიკელი გლეხი პატარა მემამულეს წარმოადგენს. იქ მიწის საშუალო უბნად ითვლება 50 დესიატინა, საიდანაც სახნავად დათმობილია 30 დესეტინამდი. ესაა ეგრედ წოდებული ფერმა მეწველ საქონლით, ღორებითა და ფრინველებით. ასეთ ფერმაში მუშაობენ მოჯამაგირეები, მეტნაწილად ისეთები, რომლებიც არ არიან კარგად გაცნობილი სასოფლო-მეურნეობას. (სასოფლო სამეურნეო მუშათა ერთ ნახევარს დღემდის არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია მეურნეობასთან).

ხელსაყრელია თუ არა ამერიკაში სასოფლო მეურნეობის წარმოება ასეთ პირობებში? არა. ფერმერი ისე იფლობა ვალებში თავის მიწის უბანზე, რომ მისთვის არაა ხელსაყრელი იმუშაოს ამ უბანზე. ნასესხები ფულის პროცენტები ნთქავენ მთელ შემოსავალს. ამის გამო ბევრი ფერმერი სტოვებს მეურნეობას და მიდი ქალაქად.

მაგალითად: 1922 წელში მილიონზე მეტი ფერმერი გადავი და სოფლებიდან ქალაქებში. ფერმერთა სახლების ერთი მეათედი ნაწილი მუდამ ცარიელია. დ ანარჩენი ფერმერები მუშაობენ მევახშეებისათვის და ღებულობენ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე კარგი მუშა ქალაქში.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ამერიკაში კაპიტალისტების ძალა-უფლებაა გაბატონებული.

კაპიტალისტები აწყობენ მეურნეობას ისე, რომ დიდი მოგება და შემოსავალი ჰქონდეთ.

ომის წლებში, როცა მთელი მსოფლიო — ომში იყო ჩაბმული, ამერიკა აწვდიდა ყველა მეომარ სახელმწიფოებს პურს. პურზე აიწია ფასებმა და ბევრმა მიაშურა სოფელს, ფერმერი გახდა. გათავდა ომი. პურის ბაზარი შემცირდა, ის დამზადებულ იქნა ზომაზე მეტი,—ფასი დაეცა და ბევრი ფერმერი დაზარალდა.

რას გვასწავლის ჩვენ სასოფლო მეურნეობის გაჭირვებული მდგომარეობა ამერიკაში?

ეს გვიჩვენებს, რომ სასოფლო-მეურნეობა წარმოებულ უნდა იქნას გეგმიანად, უნდა შენდებოდეს სოციალისტურად. ხოლო სოციალიზმის შენება შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასს მშრომელ გლეხობასთან კავშირში.

ს. ნ.

# ამბები ნაწილებიდან

### წითელ არმიელთა კინო.

პირველი დივიზიის ნაწილებისათვის ბანაკობის ადგილზე სისტემატიურად იმართება კინო სურათები. სურათებს ვღებულობთ არმიის კინო ბიუროდან.

გარდა მოლაშქრეების, კინო სურათებს ბლომად ესწრებიან ადგილობრივი მცხოვრებლები.

საჭიროა მხოლოდ შერჩეული იქნეს უფრო დამაინტერესებელი შინაარსის სურათები.

ს. გა—ძე.

### ექსკურსია აეროდრომზე.

1-ლი ლეგ. პირველი ასეული წაიყვანეს ამ რამოდენიმე დღის წინად აეროდრომის სანახავათ. წითელ არმიელებს დიდი ინტერესი ქონდათ, რომ თავისი თვალით ახლოს ენახათ ჰაეროპლანები. მისვლისთანავე დაგვყვეს ჯგუფებათ და ყველაფარი დაწვრილებით აგვიხსნეს.

დაიწყო აფრენაც და საშვალება მიეცა წითელ არმიელებს ჩამჯდარიყვენ ჰაეროპლანებში. უკან დაბრუნებული ამხანაგები დიდი შთაბეჭდილებასა და სიხარულისგან ველარ ლაპარაკობდენ. ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე.

კანკათელი.

# ნარევი

## როგორი იქნება ჰაეროპლანი მომავალში.

უკანასკნელ დროს მიღწეულია გაფრენის სიჩქარე—400 ვერსი საათში. ეს მიღწევა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, თუ როგორი იქნება მომავალში ჰაეროპლანები.

მომავლის ჰაეროპლანები იქნება იარაღის მიერ გასროლილ ყუმბარის მსგავსი.

მის სიჩქარეს საზღვარს თუ დაუდებს მხოლოდ მფრინავის ფიზიკური აგებულება და ამტანიანობა.

თუ გადავავლებთ თვალს ჰაეროპლანების განვითარებას, დავინახავთ, რომ რაიტის აპარატს ჰქონდა ფრთები—40 ფუტი და მოტორი, რომელშიაც ერთი ცხენის ძალა მოდიოდა მოტორის წონის თუთხმეტ გირვანქაზე. მისი სიჩქარე უდრიდა საათში 60 ვერსს.

ამჟამად სიჩქარე საათში 400 ვერს უდრის, ფრთების სიგრძე—22 ნახევარ ფუტს, ხოლო ერთი ცხენის ძალა მოდის მოტორის წონის ნახევარ გირვანქაზე. ეს მიღწევა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფრთების სიგრძე შეიძლება მინიმუმამდის იქნას შემცირებული. მთელი საკითხი იმაშია, თუ როგორ მოახერხონ უფრთო ჰაეროპლანის აშვება დედამიწიდან, მაგრამ ამის ნიშნებიცაა ამერიკაში, სადაც გაქანებულ ძალით უშვებენ ჰაეროპლანს დედამიწიდან ჰაერში.

შესაძლებელია აგრეთვე მოძრავი ბაქნების, ბონდებისა და სხვ. ხმარება.

დ.

# პასუხი შეკითხვებზე

— ნინო ხიდურელს. მუშფაკში შესასვლელად საჭიროა გამოცდების ჩაბარება პირველი საფეხურის სკოლის კურსის ფარგლებში.

— გორათელს. მარია ორახელაშვილის სახელობის სახელოსნო მოთავსებულია ვერის დაღმართზე, სადაც უნდა მიმართოდ თქვენი ძმის მიღების შესახებ.

— ვასოს. წ. არ. ავადმყოფობის დროს საექიმო დახმარება ეძლევა უფასოდ.

— მასვე. ზედმეტ მსახურად დატოვება დამოკიდებულია თქვენი უფროსზე.

— ბაბუნაშვილს. უვადო შვებულებაში წასვლის დროს თქვენ მოგეცემათ ტარებისათვის ვარგისი ტანსაცმელი, რომელიც თქვენს საკუთრებაში გადადის.

— ალ-ძეს. უნდა გამოცხადდეთ იმ გასაწვევ წერტზე, სადაც მიწერილი იყავით; წერტის გამოცვლა შეგიძლიათ მხოლოდ ექვსე თვით ადრე გაწვევადე (სავალდებულო სამხედრო სამს. კანონი მუხ. მუხ. 18 და 81).

— ნოდიას. სამხედრო საბეითლო-საფერშლო სკოლაში შესვლისათვის საჭიროა პირველი საფეხურის სკოლის მეორე ჯგუფის კურსის ფარგლებში გამოცდების ჩაბარება (ბრძანება № 1233—25 წ.)

— ახალქალაქელს. ძმის ცოლი, როგორც ამ ჟამად ორსული, ითვლება შრომის უნარ მოკლებულად.

— ო-შვილს. თუ გინდ ძმასთან გაყოფილიც რომ ყოფილიყავით პირველ ხარისხის შეღავათებით მაინც ვერ ისარგებლებდით (ბრ. № 965—25 წ.)

— ზ-ძეს. დახმარება ახლად დაბადებულ ბავშვისათვის არ მოგეცემათ (შეღავათების კანონთა კოდექსი მუხ. 30).

# ჩვენი ფოსტა

— შ. გძელიძეს (5 ლეგ.) თქვენი წერილი არ გადის. ამის შეს[...] მიმართედ ნაწილის ექიმს.

— გ. ქორიძეს (3 ლეგ.), ნიკოლაიშვილს და არველაძეს თქვენი [...]რესპონდენციები არ გადის. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

— სახლითელს (4-ხე ლეგ.) კორესპონდენცია ასეულის შესახებ [...]რო გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისთვის.

— ვ. ბურდელაძეს წერილი გორის მაზრის შესახებ არ გამო[...] მოიწერეთ სხვაზე.

— შ. გელაშვილს. ლექსი „ფოლად ადამიანს“ სუსტია. არ გადის.

— იმნაიშვილს წერილი წრეების შესახებ არ იბეჭდება. მოიწერ[...] სხვაზე და ხშირად.

— ხაბელაშვილს. თქვენს წერილში თითქმის არაფერია ნათქვ[...] მოიწერეთ ნაწილის საქმიანობის შესახებ.

— ჩიბაროვს. სწერეთ ერთ გვერდზე, წინაალმდეგ შემთხვევაში [...]ვენი წერილები არ დაიბეჭდება.

— ბუდაშაძელს. წერილი პოლიტ-მეცადინეობის შესახებ არ გა[...] მოიწერეთ კონკრეტიულად თუ რა კეთდება ნაწილში.

— ჭინკას. თქვენი წერილები ასეულის შესახებ გამოდგება ად[...]ლობრივი კედლის გაზეთში.

— ნიკოლეიშვილს. კორესპონდენტების კავშირის ცხოვრების [...]სახებ დაგვიანებით არის მიღებული. არ გადის.

— ლობილაძეს, კულარიონიას და პ. კახიძეს. თქვენი კორესპ[...]დენციები არ გადის. ასეთები იყო ჩვენს გაზეთში. მეორ[...] არ დაიბეჭდება.

— ეკნარს, დაუდაშვილს, გოგიას, მაღნარაძეს, კანკათელს, ჭყონი[...]კალეს და მ. კვიკვიძეს. თქვენი წერილები გამოუსადეგ[...] არიან. მოიწერეთ სხვაზე და ხშირად.

## ვის აქვს საწინაალმდეგო?

1-ლ ქართ. მსროლელ ლეგიონის მე-4-ხე ასეულის კომკავ[...]რის ჯგუფში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდი[და]ტათ გადარიცხვის შესახებ 1) გოქსაძე ვლადიმერს (ა. ლ. კ. 1925 წ.) 2) ქოჩიშვილი ნიკოლოზს (ა. ლ. კ. წ. 1923 წ.) 3) ვა[...]კიძე ბენედიქტეს (ა. ლ. კ. წ. 1925 წ.) და 4) ბუშურიშვილი პა[...]ლეს (ა. ლ. კ. წ. 1922 წ.)

მე-2-რე ქართ. მსრ. ლეგიონის მე-3-მე ასეულის კომუჯრედ[ში] შემოტანილი აქვს განცხადება კომკავშირის წევრს ექვთიმე და[...]ითის-ძე გოგრიჭიანს კომპარტიაში კანდიდატათ გადარიცხვის [შე]სახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ გვაცნობეთ მე-3-[მე] ასეულის კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

1-ლ ქართულ მსრ. დივ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრე[...]დში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღებ[ის] შესახებ: 1) ლომსაძე ლეონტი ალექსის-ძეს (კ. კ. წევრი 1921 [...] 2) კერესელიძე გაბრიელ ალექსის-ძეს (კ. კ. წევრი 1923 წ.), 3) [...]კამიძე მოსე კონსტანტინეს-ძეს (მუშა რკ. გზ. კ. კ. წ. 1923 წ.)

ვისაც აქვს რაიმე საწინაალმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერ[თი] კვირის განმავლობაში 1-ლ ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედ[...]

მე-3-მე ქართ. მსრ. ლეგიონის ბიურო კოლექტივში შემო[ტა]ნილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატობიდან წევრ[ად] გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) კაჭაევო ელიოზი შავლეგის-ძეს, 2) გოგოძე გრიგოლი კ[ონს]ტანტინეს-ძეს, 3) კრაწაშვილი გიორგი ივანეს-ძეს, 4) პაპავა კო[...]დრატე ალმასხახის-ძეს, 5) პაქსაშვილი ვარლამი მაქსიმეს-ძეს, [6)] სარჯველაძეს მიხეილი ვარდენის-ძეს, 7) კუზნეცოვი თედორე ა[...]ნასის-ძეს, 8) ჯიოევი ნიკოლოზი პავლეს-ძეს და 9) ჩხაიძე ელ[...] ივანეს-ძეს.

კომკავშირის წევრობიდან კომპარტიის კანდიდატად გადარიცხ[ვის] შესახებ.

1) სიჭინავა პლატონ ფილიპეს-ძეს, 2) ჯაში პანტელეიმ[ონ] თომას-ძეს, 3) მღვდელაძე ვარლამ ტარიელის-ძეს, 4) გორდელ[...] არისტრახ იაგორის-ძეს, 5) ხაჩიძე ლუარსაბ ნესტორის-ძეს, 6) -[...]ლაძე პოლივქტონი ალფერის-ძეს, 7) ხუგაშვილი ალექსი ნიკოს-ძ[ეს].

უპარტიოების კომკავშირის წევრად მიღების შესახებ.

1) ბუაჩიძე მიხეილ ბელანჩის-ძეს, 2) კვაჭაძე ჭიჭიკო იესეს-ძ[ეს], 3) თარხანიანც ოგანეზ კარაპეტის-ძეს, 4) ასათიანი შალვა ვასილ[ის]-ძეს, 5) მარგიევი გრიგოლი ბიბოს-ძეს, 6) ორთოიძე ბაგრატი ქ[რი]სტოფორეს-ძეს, 7) გუჩმაზოვი სარდიონი ალექსის-ძეს და 8) ვალ[...]შვილი იოსები ვანოს-ძეს.

თუ ვინმეს გაქვს საწინააღმდეგო ზემო დასახელებულ ამხა[ნა]გების პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობ[ები] მე 3-მე ლეგიონის ბიურო კოლექტივში ათი დღის განმავლობა[ში].

## განცხადება

6 აგვისტოს, დილის 8 საათზე მეორე ქართულ დივიზიის პ[ო]ლიტგანყოფილებაში შესდგება მეორე დივიზიის ნაწილე[ბის] სამხედრო კომისართა **თათბირი**.

დღის წესრიგი:

1. **მოხსენებები ადგილებიდან.**
2. **მზადება საერთო შეკრებისათვის.**

პოლიტგანის დრ. უფროსი **ნ. ბლუაშვილი.**

**დაიკარგე** 2-რე მესანგრე ასეულიდან მიცემუ[ლი] ცვალებად წითელ არმიელის წიგ[ნაკი] პროკოფი ნესტორის-ძე გაბუნიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულ[ად].

**დაიკარგე** მე-2-ე ქ. მ. დივიზიის ცალკე საკავშ[ირო] ასეულიდან მიცემული ცვალებად წ. [ა.] წიგნაკი № 177 კარაპეტ არუთინოვის სახელზე. ჩაითვალოს გ[აუქ]მებულად.

# სამხკორის კუთხე

## დავიწყოთ მუშაობა შვებულებაში მიმავალ სამხკორებთან.

პირველი აგვისტოდან შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების მომზადების საერთო გეგმის თანახმათ, უნდა დაიწყოს შვებულებაში მიმავალ სამხკორების მომზადებაც მუშსოფლკორებად, რომლებიც გაშვებული იქნებიან წითელი არმიიდან მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

შვებულებაში მიმავალ სამხკორთა მოსამზადებლად საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი. აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში შესაფერი მუშაობა თუ იქნება წარმოებული ბევრის გაკეთება შეიძლება.

შვებულებაში მიმავალ სამხკორთა მომზადების წინ სამი ამოცანა სდგას:

**პირველი**—უნდა გავაცნოთ სამხკორი მუშსოფლკორის მუშაობის მიზნების, ორგანიზაციული ფორმებისა და მუშსოფლკორის მუშაობის პირობებს, როგორც სოფლად, ისე ფაბრიკა-ქარხნებში;

**მეორე**—ისე უნდა მოვამზადოთ სამხკორი მუშსოფკორის მუშაობისათვის, რომ მას შეეძლოს სოფლკორთა მუშაობის ორგანიზატორად გახდომა სოფელში და მუშკორის მუშაობას კი ქარხანაში, რომ ის საფუძვლიანად იყოს გაცნობილი კედლის გაზეთების საქმის ტეხნიკას და საჭიროების დრო დამოუკიდებლად შესძლოს მისი გამოცემის საქმის მოგვარება;

**მ ე ს ა მ ე**—დაუკავშიროთ შვებულებაში მიმავალი სამხკორი სამხედრო გაზეთებს, მოვამზადოთ ის სამოქალაქო გაზეთების სამხედრო განყოფილებებში მუშაობისათვის და სოფლისა და ქარხნის კედლის გაზეთებში არსებულ სამხედრო განყოფილებების ხელმძღვანელებად.

შვებულებაში მიმავალ სამხკორთა მომზადება მუშსოფლკორის მუშაობისათვის უნდა იკისრონ ნაწილებში არსებულ სამხკორთა წრეებმა.

### საჭიროა ჩამოყალიბდეს შვებულებაში მიმავალ სამხკორთა ცალკე წრეები

ყველა ნაწილებში და ყოველ კვირა სწარმოებდეს მათში მუშაობა.

ტერნაწილებში, სადაც შვებულებაში მიმავალი სამხკორები შედარებით ცოტა არიან, შესაძლებელია ასეულებისა და სხვა ერთეულების სამხკორთა წრეების გაერთიანება.

წრის მეცადინეობისათვის საჭირო გეგმას ქვევით ვათავსებთ, მაგრამ მისი გამოყენების დროს, საჭიროა შვებულ სამხკორთა შემადგენლობის გათვალისწინება—შერჩევა.

მუშა სამხკორებისათვის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მუშკორის მუშაობას, ხოლო გლეხი სამხკორისათვის კი—სოფლკორის მუშაობას.

საჭიროა კიდევ მოვიყვანოთ ერთი შენიშვნა:

შვებულებაში მიმავალ სამხკორთა მუშსოფლკორებისათვის წარმოებული მუშაობამ არ უნდა იმოქმედოს მათ მუშაობაზე—როგორც სამხკორების, ყაზარმიდან წასვლის უკანასკნელ წუთამდე.

მომავალი მუშსოფლკორი სამხკორად უნდა დარჩეს წითელარმიაში თავისი სამსახურის დასრულებამდე.

## სანიმუშო გეგმა

### შვებულებაში მიმავალ სამხკორთა წრისათვის.

**1-ლი მეცადინეობა. მუშსოფლკორების მოძრაობის საერთო ამოცანები.** მუშკორი და სოფლკორი—საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტივი. მუშკორი და სოფლკორი—რევოლიუციონური კანონიერების დარაჯი. მუშკორი და სოფლკორი—პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხმარე.

**მე-2 მეცადინეობა. მუშსოფლკორების მუშაობის საორგანიზაციო ფორმები.** სოფლკორების წრე სოფელში. მუშსოფლკორების წრე ქარხანაში. წრეების კონკრეტიული ამოცანები. მუშსოფლკორების აღზრდა, კავშირი გაზეთებთან, კედლის გაზეთების გამოცემა და სხვა. წრეების ურთიერთ დამოკიდებულება პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ დაწესებულებებისადმი.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** სამხკორთა შემადგენლობის მიხედვით—გარჩეული უნდა იქნეს მუშკორებისა და სოფლკორების წრე.

**მე 3 მე მეცადინეობა.** კედლის გაზეთი სოფელსა და ქარხანაში. ვისი ორგანოა. წითელ-არმიელების კედლის გაზეთისაგან განსხვავება. უმთავრესი ამოცანები სოფლისა და საწარმოო დაწ. კედლის გაზეთის. სამხედრო განყოფილებების კარგად დაყენება კედლის გაზეთებში.

**მე-4-ხე მეცადინეობა. სოფლკორის მუშაობის სიძნელენი.** დევნა. მიზეზები. დევნისაგან თავდაცვის საშვალებანი. კავშირი პროკურატურასთან, ფსევდონიმი, კავშირი პარტიასა და კომკავშირთან.

**მე 5-თე მეცადინეობა.** შვებული მუშსოფლკორი იქნება სამხკორი ომის დროს. შვებული სამხკორი და მისი კავშირი გაზ. „წითელ არმიელთან“ და ნაწილის კედლის გაზეთებთან. სამხედრო ცოდნათა პროპაგანდა სოფლად. გაზ. „წითელ არმიელის“ გამოწერა სოფლად.

ნ. ღ. ს ც. სამხედრო სტამბა კუცხოველი 1, № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.